საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კასრაძე გიორგი (გივი) ამირანის ძე

კასრაძე გიორგი (გივი) ამირანის ძე (დ. 27. II. 1929, თბილისი), ფერმწერი, გრაფიკოსი. დაამთავრა თბილ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკ-ტი (1955). საქართვ. დამს. მხატვარი (1979). 1971–2016 ეწეოდა პედ. მოღვაწეობას თბილ. სამხატვრო აკადემიაში (2003 – პროფესორი). 1955-იდან მონაწილეობს სამხატვრო გამოფენებში. 1959-იდან მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში". არის რეჟისორი და დამდგმელი მხატვარი თოჯინური ფილმებისა: „ცნობისმოყვარე" (1970), „მგელი და კრავი" (1979), „კომბლე" (1988) და სხვ. კ-ის ნამუშევრები: ნატიურმორტების სერია – „ფერწერული პრობლემები", „თეთრი ნატიურმორტი", „თეთრი ქილა ბროწეულით", „სამი განზომილება", „თუნგი თეთრი ხალიჩის ფონზე" და სხვ. (1955–99); პეიზაჟები – „ზამთარი", „თოვლი", „მთვარიანი დღე" და სხვ. (1960– 70); პორტრეტები – „თუში ქალი", „თუში მამაკაცი", „კოსტა", „ლუხუმი", „ზურაბ ქაფიანიძე", მეუღლის პორტრეტები, ავტოპორტრეტები და სხვ. (1960–70). გამოფენები: გალერეა თMშ (1996), ქართველ მხატვართა გამოფენები (1996, დიჟონი, საფრანგეთი; 1997, მოსკოვი), „ქართული ნახატის გამოფენა" (2015, გ. ჩუბინაშვილის სახ. ეროვნული ცენტრი) და სხვ. პერსონალური გამოფენები: „100 ნახატი"(1996, საქართველოს ეროვნული გალერეა), თანამედროვე ხელოვნ. გალერეა (1997), გალერეა „ჰობი" (2003). გაფორმებული აქვს წიგნები: „ნიალის საგა", „რამაიანა", „გილგამეში". მისი ნამუშევრები დაცულია დ. შევარდნაძის სახ. ეროვნულ გალერეაში, აშშ-ის, ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ჩეხეთის, სლოვაკეთის, იაპონიის, რუსეთისა და საქართველოს კერძო კოლექციებში.